საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახანაშვილის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. [illegible]
4 „ 15 „ [illegible]
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. [illegible]
4 „ 1 მ. —

№ 626 ოთხშაბათი, ნოემბრის 21, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულების და ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ

მოსკოვის ჟურნალ-გ ზეთებზედ

ხელის მოწერა დეკემბრის თვისათვის იწყება ამა ნოემბრის 20-დან და გრძელდება ნოემბრის 29 მდე, რის შემდეგ შეწყვეტილი იქნება ხელის მოწერის მიღება.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ექსპედიცია, წინდაწინვე აცხადებს რა ზემოთ აღნიშნულს, სთხოვს ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომ წინდაწინვე მოაწერონ ხელი დეკემბრისთვის, რადგან დანიშნულ ვადის შემდეგ ექსპედიცია ხელის მოწერას არ მიიღებს.

3—3 ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.

ავაზაკების მართლმსაჯულება

როგორც დეპეშებმა გადმოგვცა, ამხ. ვოროვ- ას მკვლელნი კონრადი და პოლუნინი ნაფიც მსა- ელთა სასამართლომ გაამართლა!

წარმოიდგინეთ, რომ „მართლმსაჯულების“ აგიდის ირგვლივ ავაზაკები სხედან, მათ ავაზაკი ავმჯდომარეობს, ერთი მხრივ ავაზაკთა მიერ შემ კარი „ნაფიცი მსაჯულები“ მოკალათებული, ხოლო ეორე მხრივ ბრალდებული სკამზედაც ავაზაკი ზის. რ უნდა ბევრი ფიქრი, თუ როგორი განაჩენი იქნე- ა გამოტანილი. არ უნდა დიდი დაკვირვება თუ ა ლექსიკონითა და შინაარსით იქნება პროცესი ატარებული.

ერთი ასეთი ფაქტია ლოზანაში გამართული ასამართლება ამხ. ვოროვსკის მკვლელის კონრადის ა პოლუნინის.

ბურჟუაზიის დაქირავებულმა ფაშისტებმა, ონრადიმ და თეთრგვარდიელ ემიგრანტმა პოლუ- იხმა მოჰკლა რევოლიუციონური ქვეყნების წარმო- ადგენელი ამხ. ვოროვსკი. ეს უდიდესი დამნაშავე, ცის მკვლელი, მშრომელი ხალხის წარმომადგენ- ის სისხლით მოთხუპნილი ვიგინდარა წარადგინეს გიგინდარათა სამსჯავროში. ამ სამსჯავროში კი შეუძლებელია იმის გარჩევა, თუ ვინ სად უნდა ჭერდეს ადგილს. მბრალდებელის ადგილი არაფრით ანსხვავდება ბრალდებულის სკამისაგან, ხოლო ეს ქანასკნელი ისეთივე ზნეობრივი ღირსებისაა, რო- ორიცაა თვით მოსამართლეთა სავარძელი.

ბრალმდებელი, როგორც დეპეშები გადმოგვ- ემს ხაზს უსვამს „შემამსუბუქებელ გარემოებებს“ ა დასძენს: ან უნდა განთავისუფლდეს კონრადი, ნ მას 15 წლით ციხე უნდა მიესაჯოს, ხოლო პო- უნინი მოქმედებდა **არა პირადი, არამედ პოლი- იკური მოსაზრებით** და ბრალის დადება შეუძლე- ელიაო.

დამცველი კი საბჭოთა ქვეყნების ბრალმდე- ელის როლში გამოდის და ყალბი დოკუმენტებით ემაგოგიას ეწევა. სასამართლო ბრალდებულებს მართლებს.

ჭეშმარიტად ჩინებული სურათია. სხვა გვარი არც შეიძლებოდა. სრულიად დაცულია ბურჟუაზიული „სამართალი“ და „ზნეობის“ პრინციპები.

რა უყოთ, რომ ვიღაც ვოროვსკი მოჰკლეს, მეამბოხე და „წესიერების“ დამრღვევი კაცი, მოსული თავაშვებული მუშების ქვეყნებიდან. ან როგორ შეიძლება პოლუნინის დამნაშავედ ცნობა, ის რომ პოლიტიკური და არა პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობდა (sic!). ამით არა თუ არ დარღვეულა „წესიერება“, პირიქით იგი გამტკიცდა.

ამაზედ მეტად ვერაგული, ცინიკური და უმდაბლესი სამართალი ძველ ქვეყნებსაც არ მოეპოვება.

მაგრამ ამასაც აქვს დადებითი მნიშვნელობა. კიდევ ერთი ფაქტი ემატება იმ ფაქტთა მდიდარ კოლექციას, რომ ბურჟუაზიულ ავაზაკთა მართლმსაჯულება კაცის მკვლელებსაც ამართლებს და რევოლიუციონური ქვეყნების წინააღმდეგ გასროლილ ტყვიას თავის „მორალურ“ სექციას აძლევს.

ეს არც გვიკვირს და არც გვაშინებს. ასე რომ არ მომხდარიყო უეჭველად საკვირველი იქნებოდა.

საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ხალხი არასოდეს არ ივიწყებს თავის თავდადებულთ და ანგარიშის გასწორებისას იგი მოითხოვს ავაზაკებისაგან ვალის ერთი ასად გადახდას.

მშრომელი ხალხი კარგად ხედავს, რომ ბურჟუაზიულ სამყაროში არ არის არც ერთი კუთხე, სადაც მისი ინტერესი არ ითელებოდეს, სადაც მის მიერ გაღებულ სისხლს არ დასცინოდენ.

მით უფრო მეტი ენერგიით, მეტი თავდადებით და თავგანწირვით წავალთ წინ, რომ ერთხელ და სამუდამოთ ხელიდან გამოვტაცოთ ავაზაკებს მართლმსაჯულების საჭე და დღევანდელი მოსამართლენი მოვათავსოთ იქ, სადაც დღევანდელი „ბოროტმოქმედნი“ სხედან.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები 20 ნოემბრიდან)

— სექტის გავლენა იზრდება ყოველი ოთ.

— სექტი ანგარიშს ასწორებს საქსო- ასა და ტიურინგიასთან

— ბავარიის ფაშისტები უნაყოფოდ დილობენ შექმნან მთლიანი შავი ფრონტი.

— ფაშისტები მოუწოდებენ მარქსიზმ- ან საბრძოლველად.

— აფიცერთა კავშირები მხარს უჭე- ენ კარს

— შტრეზემანის მთავრობა არ გასცემს ონ-პრინცს.

— გერმანეთში ფულის სიმშილი აუ- ებელია

— ბავარია არ ემორჩილება საიმპერიო ავრობის განკარგულებას.

— გიტლერი მიცემულია მიუნხენის ხალხო სასამართლოში.

მთავრობის აზრი საკონტრიბუციო საკითხში.

— ბურჟუაზიულ პარტიებში სამი მიმართულებაა საკონტრიბუციო საკითხში.

— გერმანეთმა საფრანგეთს ნოტით მიმართა სეპარატისტების დახმარების გამო

— რეინის ქალაქებში უმუშევართა დემონსტრაციები ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა.

— ნეჟინის ინსტიტუტის პროფესორები გერმანელებს აფრთხილებენ შეცდომებისაგან

— ავსტრიის სოც.-დემ. პარტიის ყრილობის ანგარიში.

გერმანეთის ამბები

სექტის გავლენა იზრდება.

ჩრდილოეთ გერმანეთის „მამულიშვილთა კავშირების“ თათბირზედ ნაციონალისტების ბელადმა გესლერმა აღნიშნა, რომ ნაციონალისტური წრეები დიდ იმედებს ამყარებენ გენერალ სექტზე, რომელმაც შესძლო რეიხსვერის განთავისუფლება „პოლიტიკური ბრძოლისაგან.“ თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმება მთელი აღმასრულებელი ძალა-უფლების გენ. სექტის ხელში გადაცემას და გამოსთქვამს იმედს, რომ სექტი შესძლებს ეს ძალა უფლება მოიხმაროს „მარქსისტული გავლენის“ საბოლოოდ გაქარწყლებისათვის.

სექტის გავლენა ყოველ დღით იზრდება. „ბერლინერ ტეგებლატი“ აღნიშნავს, რომ სექტი გადამწყვეტ როლს ითამაშებს ყველა მომავალ მთავრობის კომბინაციებში. ცენტრის ორგანო „გერმანეთი“ აღნიშნავს, მემარჯვენე დიქტატურის მომხრეთა მთელი იმედები სექტის გარშემო ტრიალებს.

სექტი ანგარიშს ასწორებს წითელ ტიურინგიასა და საქსონიასთან.

გენერალმა სექტმა საქსონიის რეიხსვერის სარდალს, გენერალ მიულერს წინადადება მისცა, დაარსოს „პარტიის გარეშე მდგომი“ დამხმარე პოლიცია და მთელი საქსონიის პოლიციაც ამავე „უპარტიობის“ ნიადაგზედ გარდაქმნას. ამ განკარგულების აზრი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელი საქსონიის პოლიცია უმთავრესად პროლეტარულ ელემენტებისაგან შესდგება.

ტიურინგიის მთავრობის პროტესტის საპასუხოდ, რომელიც ტიურინგიის მთავრობამ განაცხადა რეიხსვერის შესვლის გამო, გენერალმა სექტმა ბრძანება გასცა მთელი აღმასრულებელი ძალა-უფლება ტიურინგიაში გადაეცეს გენერალ გესს.

სექტი დახურვით ემუქრება „ფორვერტსს“.

გენერალ სექტმა სოც.-დემოკრატიულ გაზეთის „ფორვერტსის“ რედაქციას გაუგზავნა წერილი, რომელშიაც იმუქრება, რომ მიიღებს „შესაფერის ზომებს“, თუ გაზეთი არ შესწყვეტს „საზოგადოებრივი აზრის აღელვებას“. ამავე წერილში სექტი აღნიშნავს, რომ იგი ენერგიულად შეებრძოლება ყოველგვარ ცდასა გაფიცვის გამოსაცხადებლად არსებობის მნიშვნელობის მქონე წარმოებებში.

ფაშისტების უნაყოფო ცდა მთლიანი შავი ფრონტის შექმნისათვის.

„მამულიშვილთა კავშირების“ ცდა, რათა შექმნან ბავარიაში მთლიანი ფაშისტური ფრონტი ჯერ ჯერობით უნაყოფოდ რჩება. ფაშისტები ელიან მუშათა გამოსვლას, რათა მტრულად განწყობილ ფაშისტურ ჯგუფებს შორის დაუყოვნებლივ აღადგინონ მთლიანი ფრონტი.

ფაშისტები მოუწოდებენ „მარქსიზმთან“ საბრძოლველად.

„ჩრდილოეთ გერმანეთის ეროვნულ კავშირების სამხედრო გაერთიანება“ გამოქვეყნებულ მოწოდებაში დადებით პასუხს იძლევა გერმანეთის ყველა ეროვნულ ძალების გაერთიანებისაკენ მოწოდებაზედ. მოწოდებაში ნათქვამია: „მუხლი მოვიდრიკოთ ყველა იმ მსხვერპლის წინაშე, რომელიც დაიღუპა მიუნხენის უკანასკნელ ამბების დროს. მათმა სისხლმა უნდა შეაკავშიროს ერი თავის ერთად ერთი მტრის—ტევტონთა სულისთვის უცხო, მარქსიზმის წინააღმდეგ“.

ფაშისტური დემონსტრაცია კარდინალ ფაულგაბერის სასახლესთან.

მიუნხენის პრესა იტყობინება, რომ მიუნხენის მცხოვრებთა განსაზღვრული ნაწილი აღელვებულია კათოლიკებისა და კარდინალ ფაუნგაბერის წინააღმდეგ, რომელსაც აკისრებენ პასუხის მგებლობას კარის მიერ ფრონტის შეცვლისათვის. გიტლერის მომხრეებმა კარდინალის სასახლის წინ დიდი დემონსტრაცია გამართეს, რომლის დროსაც ეკლესიიდან დაბრუნებულ კარდინალს სტვენით დახვდნენ.

აფიცერთა კავშირები კარის მხარეზეა.

მიუნხენში შემდგარმა აფიცერთა კავშირების კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია მხარის დაჭერა კარისათვის. კონფერენციაზედ გამოქვეყნებულ იქნა კრონპრინცის წერილი, რომელშიაც იგი უარჰყოფს ხმებს, ვითომც იგი აპირებდეს მონარქიის გამოცხადებას.

შტრეზემანის მთავრობა არ გასცემს კრონპრინცს.

სახალხო პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმმა 22 ხმის უმრავლესობით, 11 წინააღმდეგ, ნდობა გამოუცხადა შტრეზემანს და განაცხადა, რომ ცვლილების შეტანა მთავრობის შემადგენლობაში საგარეო პოლიტიკური მოსაზრებებით სასურველი არ არის.

შტრეზემანმა თავის სიტყვაში განმცხადა, რომ გერმანეთის მთავრობა უარჰყოფს მოკავშირეთა მოთხოვნილებას კრონპრინცის გაცემის შესახებ.

ფულის სიმშილი აუცილებელია.

საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ სარენტო მარკების გამოცემის გამო, არსებულ ქაღალდის ფულის ბეჭდვა სახელმწიფოს საჭიროებისათვის შესწყდება. ახალი სარენტო მარკის დანიშნულება განსაკუთრებით ქვეყნის შიგნით ეკონომიური ტრიალი. მთავარი მიზანი სარენტო მარკის გამოცემისა არის აგრარიებისათვის მისაღებ მტკიცე ვალიუტის შექმნა.

ქაღალდის მარკების ბეჭდვის შეწყვეტისა და ახალ სარენტო მარკის განსაზღვრულ რიცხვის გამოცემის გამო, ფულის სიმშილი აუცილებელია.

ბავარია არ ემორჩილება

საიმპერიო საბჭოს გუშინდელ სხდომაზედ ბავარიის ელჩმა პრეგერმა განაცხადა, რომ ბავარიის მთავრობა უარს ამბობს საიმპერიო მთავრობის განკარგულების შესრულებაზედ, სახელმწიფო მოსამსახურეთა შემცირების შესახებ.

შეუძლებელ კლასების განწირული მდგომარეობა ბავარიაში.

პირველ საჭიროების საგნებზედ ფასების კატასტროფიული ზრდის გამო, ბავარიის გლეხების პროფკავშირთა ბელადებმა კნილინგსა და კარს მიმართეს წერილით, რომელშიაც აღნიშნულია შეუძლებელ კლასების განწირული მდგომარეობა და და მოითხოვენ ხელფასის დოლარის კურსთან დაუყოვნებლივ შეფარდებას.

„უკანასკნელი სიმტკიცეც“ არ არის საიმედო.

სახელმწიფო მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუარესების გამო, რადგანაც იმუქრებიან სამუშაო დღის გაგრძელებით და შტატების შემცირებით, სახელმწიფო მოსამსახურეთა ყველა კავშირების წარმომადგენლებმა გადასცეს შტრეზემანს მოსამსახურეთა ჩივილი. შტრეზემანმა უპასუხა, რომ საიმპერიო მთავრობას არა აქვს განზრახვა, დაარღვიოს სახელმწიფო მოსამსახურეთა უფლებები, რომელნიც უკანასკნელი საფუძველია გერმანეთის სახელმწიფოს მთლიანობისა.

მოსამსახურეთა ორგანიზაციების და საიმპერიო ფინანსთა სამინისტროს ოლაპარაკების შედეგად მოჰყვა მოსამსახურეთათვის ჯამაგირის 166 პროც. გადიდება.

მთამ თაგვი დაბადა

მიუნხენის აჯანყების მოწყობის გამო გიტლერი მიცემულია.., მიუნხენის სახალხო სასამართლოში.

მთავრობისა და ბურჟუაზიულ პარტიების აზრი საკონტრიბუციო საკითხზე.

გერმანეთის მთავრობის ოფიციალიალური ცნობა ხაზს უსვამს, რომ იგი ეთანხმება მუსოლინის პოზიციას საკონტრიბუციო საკითხში და მზად არის წარმოადგინოს საწინდარი, თუ მოხდება რურის ევაკუაცია.

გერმანიის ბურჟუაზიულ პარტიებში სამი მიმდინარეობა იბრძვის: პირველი წინადადებას იძლევა, არ განაახლონ საკონტრიბუციო ხარჯების ანგარიშში საქონლის მიწოდება და რეინისა და რურის ოლქები მიანდონ თავის ბედს, მეორე მომხრეა საფრანგეთისათვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევისა და მესამე მხარს უჭერს, დაემორჩილდნენ საფრანგეთს და დათმობაზედ წავიდნენ როგორც საკონტრიბუციო, ისე ოკუპაცია ქმნილ ოლქების საკითხებში.

გერმანეთის ნოტა საფრანგეთისადმი სეპარატისტულ მოძრაობის გამო.

გერმანეთის მთავრობამ საფრანგეთს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც ჩამოთვლილია მთელი რიგი ფაქტებისა, საიდანაც სჩანს, რომ საფრანგეთი დახმარებას უწევს სეპარატისტებს.

სეპარატიული მოძრაობა.

სეპარატისტები აფართოებენ თავის გავლენის სფეროს; მთელ რიგ ქალაქებში გამოსცეს საკუთარი ბონები. ბავარიის მთავრობის პროტესტის მიუხედავად შპალცი სეპარატისტების ხელშია. ობერგლეიში სეპარატისტებს შეტაკება მოუხდათ მცხოვრებლებთან.

ყოველდღიური მოვლენა.

დიუსელდორფსა და კარლსრუეში უმუშევრებმა დაარბიეს მთელი რიგი სასურსათო სავაჭროებისა, რასაც დიდი დაპატიმრებანი მოჰყვა.

უმუშევართა დემონსტრაციები რეინის ქალაქებში—ყოველდღიური მოვლენაა. დემონსტრანტები თავს იყრიან მუნიციპალიტეტთან შემდეგი პლაკატებით: „მოგვეცით პური“, „გვშიან და განწირული ვართ სასიკვდილოდ“.

ხშირად დემონსტრანტები ცცემიან პოლიციას.

ნუ გაიმეორებთ ჩვენს შეცდომებს.

მოსკოვი. ნეჟინის ინსტიტუტის პროფესორებმა გერმანეთის პროფესორებსა და სტუდენტებს მიჰმართეს წერილით, რომელშიაც აფრთხილებენ მათ იმ შეცდომებისაგან, რომელიც ჩაიდინა რუსეთის ინტელიგენციამ ოქტომბრის რევოლიუციის დროს.

ესდეკთა შეკითხვა.

ჰოლლანდიის პარლამენტის სოც.-დემ. პარტიის საპარლამენტო ფრაქცია მოითხოვს საგარეო საქმეთა კომისიის მოწვევას, კრონპრინცის გერმანეთში დაბრუნების საკითხის განსახილველად.

უცხოეთი

მოითხოვენ პროფინტერნში შესვლას.

ქრისტიანია. (ნორვეგია) ტრონდგეიმის პროფორგანიზაციების გამგეობათა კრება მიღებულ რეზოლიუციაში ჰგმობს ნორვეგიის ცენტრალურ პროფორგანიზაციების მოქმედებას, მათ ჩამოშორებას საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობისაგან და მოითხოვს პროფინტერნში შესვლას.

ამსტერდამის პროფკავშირების მორიგი ყრილობა

ამსტერდამი. (ჰოლანდია) ამსტერდამის პროფკავშირთა მორიგი ყრილობა მოწვეულია ვენაში, მომავალ წლის 2 ივნისისათვის. დღიურ წესრიგში სდგას: ამსტერდამის გაერთიანების მდგომარეობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, საერთაშორისო სოციალისტური კანონმდებლობა, ბრძოლა ომისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ და კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ.

ჰოლანდიის კაბინეთის კრიზისი.

ამსტერდამი. ჰოლანდიის პარლამენტის პრეზიდენტს დაევალა შეადგინოს ახალი მთავრობა.

შემთანხმებლები იყვნენ და ასეთივე დარჩნენ.

რომი. (იტალეთი) სოც.-დემ. პარტიის ეროვნულმა საბჭომ მიიღო ტურატტის რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სოც.-დემ წინააღმდეგია ყოველგვარი დიქტატურისა და ესწრაფვის განამტკიცოს კავშირი ამსტერდამის ინტერნაციონალთან. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ შრომის კონფედერაციამ უნდა იმოქმედოს პარტიისაგან დამოუკიდებლად. ეროვნულმა საბჭომ პარტიას დაავალა, შეამზადოს ნიადაგი ბურჟუაზიულ და დემოკრატიულ პარტიებთან თანამშრომლობისათვის, რომელსაც მიზნად ექნება „ნორმალურ პოლიტიკურ ხაზის აღდგენა“.

პარლამენტში მუსოლინისათვის უზრუნველყოფილია უმრავლესობა.

რომი. პარლამენტის ჯგუფმა „პოპოლიარი“-მ დაადგინა მხარი დაუჭიროს მუსოლინის მთავრობისათვის უფლებების გაფართოებას. ამრიგად პარლამენტში მუსოლინისათვის უმრავლესობა უზრუნველყოფილია.

ბელგიის პარლამენტის ახალი თავმჯდომარე.

პარიზი. ბელგიის პარლამენტის თავმჯდომარედ ხელმეორედ არჩეულია სოც.-დემ. ულტრა-რეფორმისტი—ბრიუნე.

აჯანყების მონაწილეთა ამნისტია.

ვენა. ბოლგარეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა გამოაცხადოს აჯანყებაში მონაწილე აგრარიებისა და კომუნისტების ამნისტია, გარდა 20 მეთაურისა. ამნისტიის პროექტი წარედგინება ახალ სახალხო კრებას.

კომინტერნისა და პროფინტერნის მოწოდება ყველა ქვეყნების გლეხებისადმი.

მოსკოვი. კომინტერნისა და პროფინტერნის მოწოდებაში ყველა ქვეყნების გლეხებისადმი ნათქვამია, რომ ბოლგარეთის მონარქისტულმა და ნაციონალისტურმა ბურჟუაზიამ, ორი დიდი სამხედრო დამარცხების შემდეგ, კვლავ წამოჰყო თავი. ბურჟუაზიულ მართლსაჯულების ბრჭყალებში ჩაცვივდნენ მუშათა და გლეხთა მოძრაობის მეთაურნი. ამ ჟამად ბოლგარეთის მუშებსა და გლეხებს ესაჭიროებათ დახმარება, რათა განიკურნონ ჭრილობანი და აღიდგინონ ძალები. „ყველა ქვეყნების მუშებო და გლეხებო, დაიჩქარეთ აღმოუჩინოთ დახმარება ბოლგარელ ძმებს. აიღეთ თქვენს თავზედ საზღვარგარედ გასულ ბოლგარეთის რევოლიუციონერების მფარველობა და იხსენით ისინი უცხო მთავრობათა დევნისაგან და ჯალათებისათვის გადაცემისაგან. ამავე დროს შეუმსუბუქეთ ტანჯვა თეთრი ტერორის მსხვერპლთ. ყოველმხრივ აგრძნობინეთ ბოლგარეთის ბურჟუაზიას თქვენი აღშფოთება და საერთაშორისო პროლეტარიატის საშიში მრისხანება; დაარწმუნეთ საქმით ბოლგარეთის რევოლიუციონური ხალხი, რომ მის მხარეზედ არის მთელი ქვეყნის მშრომელთა უამრავი ლეგიონების სიმპატია და დახმარება“.

მუშათა სისხლი დაღვარეს „პეპეესელებმა“.

ვარშავა. (პოლონეთი). პოლონეთის რადიკალურ ინტელიგენციის ორგანო „სიმართლის ხმა“ სტეპჩინსკის წერილში ბრალს სდებს „პეპეეს“ შეთანხმებლობაში და აღნიშნავს, რომ, „პეპეეს“ რომ არ შეჰშინებოდა კრაკოვის ამბებისა და განეგრძო გაფიცვა 24 საათით მაინც, მთავრობა გადადგებოდა. სტეპჩინსკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, „პეპეეს მხდალი პოლიტიკის წყალობით უნაყოფოდ დაიღვარა მუშათა სისხლი.

გაზეთ „რაბოტნიკში“ ნედძიანკოვსკი საერთო უმნიშვნელო ფრაზებით სცდილობს ააშოროს „პეპეესს“ ეს მძიმე ბრალდება.

ვიტოსი მზად არის გადადგეს.

ვარშავა. ორი დღე გაგრძელდა თათბირი შინაურ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. დეპუტატთა ნაწილი მეტად აკრიტიკებდა მთავრობას, კანსაკუთრებით კუხარსკის პოლიტიკას. ხმებია, ვითომც, ვიტოსმა განაცხადა, რომ იგი მზად არის გადადგეს, თუ კი შესაძლებელი იქნება ფართო კოალიციონური მთავრობის დაარსება.

პარლამენტის დათხოვნა.

ლონდონი. (ინგლისი). პარლამენტის დათხოვნა გამოცხადდა ოფიციალურად. პარლამენტის სხდომაზედ გამოქვეყნდა მეფის სიტყვა, სადაც აღნიშნულია ახალი არჩევნების დანიშვნის საჭიროება ინგლისის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობის გამო. იმავე სიტყვაში აღნიშნულია, რომ ინგლისის მთავრობა დიდის ყურადღებით ადევნებს თვალს ევროპის ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც დამოკიდებულია გერმანეთის საკითხის გადაწყვეტაზედ.

ახალი არჩევნების კანდიდატები.

ლონდონი. მომავალ არჩევნებისათვის კანდიდატებად კომუნისტები ასახელებენ ნიუბოლდს, მოდეხველს, საკლატლავას, გედის, გრინოკს, გალახტერს და სხვ. ნახშირის მთხრელთა ფედერაციის ძღვიანი ხოჯო გამოვა მუშათა პარტიის კანდიდატად და საარჩევნო კამპანიას ჩაატარებს მაღაროების ნაციონალიზაციის ლოზუნგით.

სენატორ ჯონსონის კანდიდატურა.

ნიუ-იორკი. (ამერიკა). მომავალ არჩევნებისათვის სენატორმა ჯონსონმა რესპუბლიკანურ პარტიიდან წამოაყენა თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის თანამდებობაზედ ჯონსონი თავის დეკლარაციაში აკრიტიკებს რესპუბლიკანურ ადმინისტრაციის რეაქციონურ პოლიტიკას, ერთა ლიგას და მოითხოვს ამერიკის ჩარევას ევროპის საქმეებში. კანდიდატებად წამოყენებული არიან: რესპუბლიკანელებისაგან—კულიჯი და ჯონსონი, დემოკრატებისაგან—მაკადუ და უნდერვული, ფორდის კანდიდატურა გამოურკვეველია, მაგრამ მაინც აფიქრიანებს როგორც რესპუბლიკანელებს, ისე დემოკრატებს.

საბერძნეთი რევოლიუციონერდება

ვენა. რესპუბლიკანური მოძრაობა საბერძნეთში იზრდება. 18 ნოემბერს ათინაში დანიშნული იყო მასიური დემონსტრაციები რესპუბლიკის გამოცხადების სასარგებლოდ სალონიკში შესდგა კომუნისტური მიტინგი, ყველა ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების მონაწილეობით. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს მონარქიის გაუქმებას და საბჭოთა ან გარდამავალ სახალხო რესპუბლიკის დაარსებას, რომელიც დაიცავს მშრომელთა ინტერესებს.

საარჩევნო კამპანია.

თეირანი. მთელს [illegible] დაიწყო საარჩევნო კამპანია. [illegible] პარტია განსაკუთრებულ ენერგიას იჩენს. გამოვიდა რამდენიმე ახალი გაზეთი. სხვა ცენტრებში ყოველ დღე ხდება საარჩევნო მიტინგები.

ავსტრიის სოც.-დემ. პარტიის ყრილობა,

ვენა. ავსტრიის სოც.-დემ. პარტიის ყრილო-
ბამ მოისმინა მოხსენება პოლიტიკურ მდგომარეო
ბის შესახებ. აღნიშნული იყო, რომ ჰამბურგის ინ
ტერნაციონალს არ შესწევს ძალა წინააღმდეგობ
გაუწიოს საფრანგეთის იმპერიალიზმს, რადგანაც
სოც.-დემ. პარტია სუსტია სუსტია საფრანგეთს
და სხვა ქვეყნებში. შინაურ პოლიტიკის საკითხ
ზედ კამათის დროს, რენნერმა დიდის სიფრთხ
ლით წარმოსთქვა აზრი, რომ მიზანშეწონილი ი
ნება სოც.-დემ მონაწილეობა კოალიციონურ მთა
ვრობაში. ამასთანავე განსაკუთრებით ხაზს უსვამდ
იმ გარემოებას, რომ აუცილებლად საჭიროა სოც.
დემ. პარტიამ თავისი მოქმედება შეუფარდოს ს
შუალო კლასების ინტერესებს. კომუნისტებისა
კერძოდ გერმანეთის კომპარტიის წინააღმდეგ გ
მოვიდა საერთაშორისო ომისთვის ცნობილი წა
ქეზებელი ლიტნერი, აუსტერლიცმა, უპასუხა რ
ლეიტნერს კომუნისტების წინააღმდეგ გამოლაშქრე
ბის გამო, აღნიშნა რომ სოც.-დემ. და კომუნისტე
ბის საბოლოო მიზანი ერთნაირია.

საბოლოო სიტყვაში ბაუერმა აღნიშნა, რო
საჭიროა სოც. დემ. მოიმხროს თავისკენ სამუალ
კლასები. ყრილობამ მოიწონა ჰამბურგის კონგრე
სის გადაწყვეტილება და დაადასტურა ჰამბურგი
ინტერნაციონალთან შეერთება. მიღებულია რეზო
ლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ შრომის ინვალ
დების დაზღვევის შემოღებას და რესპუბლიკან
წესწყობილების დაცვას კლასიური იუსტიციისაგ

ახალი ამბები

— **აბანოს შეკეთება.** კომუნალურ განყოფილების კოლეგიამ დაადგინა: პროექტი ვარანცოვის ქ. № 63—მდებარე აბანოს შეკეთება გადაეცეს კეთილ მომწყობ განყოფილებას და დაევალოს ს
ქაროდ შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა.

— **სეით დევდარიანის დაპატიმრება.** 19

სამუშაო ხელფასი

(ევროპასა და შეერთებულ შტატებში).

სამუშაო ხელფასის საკითხის მნიშვნელობა დღეს, როდესაც ბრძოლა არის გამართული შრომასა და კაპიტალს შორის, ეჭვს გარეშეა დიდი და მრავალმხრივი არის. სამუშაო ხელფასი არა მარტო იმ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ქმნის მოხმარებისა და წარმოების ნაციონალურ სისტემას, არამედ განაწილების თვალსაზრისით ის მუშათა კლასის ხვედრია საერთო შემოსავლიდან; ამდენად დღე სოციალური ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს. მაგრამ არა მარტო ამ მხრივ იქცევს ის ყურადღებას. წარმოების პროცესში ხელფასი ხარჯების ერთერთ ელემენტს შეადგენს და მისი ასეთი თუ ისეთი დონე შესაფერ შესაძლებლობას იძლევა პროდუქტების მეტოქეობისას, მათი უცხოეთის ბაზარზე გასაღებისას და სხ. იგივე ხელფასი ამავე საწარმოო პროცესში შესაძლებელია შრომის ნაყოფიერობის ფაქტორად გარდაიქცეს და მისი აბსოლიუტური ოდნობის ზრდა იწვევს ერთეულ პროდუქტებზე გაწეულ წარმოების ხარჯების შედარებით ოდნობას. დაბოლოს, სამუშაო ხელფასი ინტერესს იწვევს იმ მხრივაც, რომ მისი რეალური ოდნობა სავსებით განსაზღვრავს მუშათა კლასის მოხმარების ფარგლებს, ხოლო ეს უკანასკნელი კი თანამედროვე ინდისტრიალურ ქვეყნებში მოსახლეობის 70 პროცენტს შეადგენს. ყოველივე ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს ის ყურადღება. რომელსაც სამუშაო ხელფასისადმი იჩენენ არა მარტო მუშათა კლასის წრეებში, არამედ თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოებიც. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტის გასავლის ნაწილში შრომის დეპარტამენტის პარაგრაფში, სპეციალური თანხა არის დანიშნული შრომის სტატისტიკის ბიუროსათვის, ინგლისის ვაჭრობის სამინისტრო ჯერ კიდევ 1905 წლიდან აწარმოებდა ფართო მაშტაბით მუშათა კლასის მდგომარეობისა და სამუშაო ხელფასის შედარებით გამოკვლევას მსხვილ ინდუსტრიალურ ქვეყნებისას; ხალხთა ლიგასთან კი დღესაც სპეციალური დაწესებულება შრომის საერთაშორისო ბიურო არის დაარსებული ამავე მიზნისათვის, რომელიც საგანგებო შრომებს უშვებს შრომის საკითხებზე. აღნიშნულის შემდეგ მცირე ინტერესს არ უნდა წარმოადგენდეს ჩვენთვისაც ხელფასის საკითხი ევროპასა და ამერიკაში მსოფლიო ომამდე და მის შემდეგ. როგორი იყო ამ მხრივ მდგომარეობა და როგორი კონიუნქტურაა ამ ჟამად შექმნილი?

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის შავი მუშების რეალური სამუშაო ხელფასის ინდექსი შემდეგ ციფრებს იძლეოდა:

ინგლისი	100,0
შეერთებული შტატების	159,6
გერმანეთი	90,3

პირველ ათ წელს ეს ციფრები გერმანელ ეკონომისტის Tiszka-ს გამოანგარიშებით შემდეგნაირად იცვლება (ციფრები შედარებულია ინგლისის ნორმასთან, რომელიც 100-ად არის მიღებული):

ინგლისი	100
შეერთ. შტატები	240
გერმანია	75
საფრანგეთი	64
ბელგია	52

ამრიგად ამერიკელი მუშის ხელფასი ინგლისელთან შედარებით 2,4 ჯერ მეტი იყო გერმანელთან—3,2 ჯერ, ფრანგთან—3 და სამიმეოთხედჯერ, ხოლო ბელგიელთან—4,6 ჯერ. რაც შეეხება გასავლის ბიუჯეტს, ამერიკაში მოხმარებით ნორმა ევროპასთან შედარებით თუმცა არა საგრძნობლად, მაგრამ მაინც მაღლა იდგა. თუ კი ჩვენ მოვინდომებთ რეალური სამუშაო ხელფასის ნაციონალური ინდექსების გაგებას, ამისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგი მეთოდი იქნება ნომინალური სამუშაო ხელფასისა და ცხოვრების გაძვირების შეფარდება. თუ კი დღეს მუშა 1912 წელთან შედარებით n ფულის ერთეულს ელებს და ფასების ინდექსი ამავე ხნის განმავლობაში y კოეფიციენტში არის გამოხატული, რეალური სამუშაო ხელფასი ასეთ პირობებში შეადგენს ნახევარს $\frac{N}{y}$ ამ ოპერაციით ჩვენ მივიღებთ რეალურ სამუშაო ხელფასის შემდეგ ნაციონალურ ინდექსებს:

ინგლისი—100
შეერთ. შტატები—158
გერმანეთი—63
საფრანგეთი—56
ბელგია—54

აგრეთვე ამერიკული მუშების რეალური ხელფასი 58 პროცენტით უფრო მაღლა იდგა მსოფლიოს ომამდე, ვიდრე ინგლისისა. ამას გარდა წინა ციფრებთან შედარებით გერმანეთის ინტერესი უფრო დაბალი არის; ეს აიხსნება მით, რომ უკანასკნელი გამოანგარიშების დროს მხედველობაში იყო მიღებული ყველა კვალიფიკაციის შრომა, პირველ შემთხვევაში კი მხოლოდ არა კლადიფიკაციური შრომა. ამიტომ გერმანიაში მსოფლიო ომამდე არა კვალიფიკაციური შრომის რეალური ხელფასი შედარებით უფრო მაღალი იყო; და სხვა და სხვა კვალიფიკაციის შრომის ხელფასის მერყეობის ფარგლები დანარჩენ ქვეყნებში უფრო ფართო იყო, ვიდრე გერმანიაში.

მსოფლიო ომმა არსებული პირობები ძირეულად შესცვალა; ინდექსების ქანაობამ წარმოუდგენელ ფარგლებს მიაღწია.

სავსებით პროდუქტების ფასებმა თუ კი 1914 წელს 100-ად მივიღებთ, 1920 წლისათვის 948 მიაღწია. „ფრანკფურტერ ტეიტუნგის“ ცნობებით 1920 წლის იანვრისათვის ყველაზე „იაფი“ ჯგუფის საქონლების ინდექსი 1401 უდრიდა, ხოლო საკვები პროდუქტებისა კი—1972; საერთო საქონლის ინდექსი ამავე ხნისათვის 2017 შეადგენდა. ამას გარდა ხელფასზე დიდი გავლენა იქონია პირდაპირმა ხარჯებმა; მუშის ბიუჯეტი მრავალმა მომახრების საგნებმაც ღირსების მხრივ დიდი ცვლილება განიცადეს. მიუხედავად აღნიშნულ გარემოებათა, ამის დასრულებისთანვე საერთო ამატების ტენდენციაა შესამჩნევი. თუ კი ომის დროს რეალურ სამუშაო ხელფასი თითქმის ყველგან კლებულობდა, 1919 წლიდან მან მატება იწყო. ქვანახშირის მრეწველობის მუშათა ხელფასი შვიდ სახელმწიფოში შემდეგ სურათს იძლევა (ომამდე არსებული ნორმა 100 ში არის გამოხატული):

	1919 წ.	1920 წ.	1921 წ.
ინგლისი	86	95	96
შერთ. შტატ.	103	98	118
გერმანია	—	141	154
საფრანგეთი	114	169	116
ბელგია	—	115	125
ჰოლანდია	116	124	136
ავსტრალია	99	99	107

ამ საერთო ამატებას ჩამორჩა მხოლოდ შვეცია და დანია; ომის დროს აქ სამუშაო ხელფასი მაღლა იდგა მეომარ სახელმწიფოთა შენაკვეთებით გამოწვეულ მრეწველობის აღორძინებასთან დაკავშირებით. ამ მიზეზის მოძრაობასთან ერთად სამუშაო ხელფასმაც იკლო, ახალ ინდუსტრიის მუშაობის შენელებასთან ერთად. თუ კი ამ ქვეყნებში 1021 წ. არსებული სამუშაო ხელფასის ომამდე არსებულ ნორმებს შევადარებთ, ისინი იძლევიან რეალურ სამუშაო ხელფასის მაქსიმალურ კოეფიციენტებს. ხელფასის დონის აბსოლუტურ სიმაღლით მეორე რიგზე სდგას შეერთებული შტატები, სადაც 1921 წლისთვის, ხელფასი 16 –37 პროცენტით გაიზრდებოდა (წინააღმდეგ დანიასა და ჰოლლანდიაში არსებულ აღმატებისა 30—60 პროცენტით, 1912 წელთან შედარებით). არც ინგლისი, საფრანგეთი და ბელგია ჩამორჩა საერთო აღმატების ტენდენციას და აქაც ხელფასი 10–15 პროცენტით. გაზარდა; მხოლოდ ინგლისის ზოგიერთ სამრეწველო დარგებში ქონდა ადგილი ხელფასის შემცირებას (ქვა-ნახშირის მრეწველობა და ლითონის მრეწველობა). გერმანეთისა და ავსტრიისთვის კი, თითქმის შრომის ყველა დარგებში, დამახასიათებელი ხელფასის შემცირება არის.

როგორი ცვლილება განიცადა ხელფასის მხრივ მამაკაცისა და ქალის შრომამ? ქალის შრომამ, რომელსაც ომამდე შედარებით მცირე ხელფასი ეძლეოდა, ომის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა. მუშა-მამაკაცების ნაკლებობამ მათ შრომას ფართო ასპარეზი მისცა, წარმოების სტანდარტიზაციით და შრომის უღრესი მონაწილეობით შესაძლებელი გახდა ქალის შრომის თანდათან უფრო ფართო გამოყენება,—ყოველივე ამან კი გავლენა იქონია ქალის შრომას ხელფასზე. ომამდე არსებულ ნორმებთან შედარებით მამაკაცისა და ქალის შრომის რეალური სამუშაო ხელფასის ინდექსი პროცენტებში 1921 წელს შემდეგ სურათს წარმოადგენდა.

სახელმწიფოები	მამაკაცი	ქალი
ინგლისი	108	131
შვეცია (1920 წ.	109	120
დანია	142	151
საფრანგეთი	146	127
ავსტრალია	114	116

როგორ დამოკიდებულებაში არის კვალიფ
ციურ და არა კვალიფიციურ მუშათა ხელფას
ციფრების განხილვა გვიჩვენებს, რომ არა კვალიფ
ციურ მუშათა ხელფასი ყველგან გაცილებით
ტად არის გაზრდილი ვიდრე მაღალ კვალიფიციუ
მუშებისა და ნათლად სჩანს ტენდენცია მინიმუმა
მდე იქნას დაყვანილი სამუშაო ხელფასის მერყეო
ბის ვარიანტი სხვადასხვა კვალიფიკაციის შრომი
შორის (მუშის და მოსამსახურის, მამაკაცის და
ლის, ხელოსნის და მისი თანაშემწის და სხ.) ეს
ტენდენცია სჩანს სახელმწიფო მოხელეთა შრომ
ქირის განხილვის დროს. 1921 წლის სხვადასხვ
კატეგორიათა რეალური ქირის ინდექსები შემდეგ
სურათს იძლევა ომამდე არსებულ წარმოებებთან
შედარებით:

	ინგლისი	საფრანგეთი	გერმანია
1 კატეგორია	121	128	130
2 „	104	81	87
3 „	104	81	87
4 „	96	64	76
5 „	78	48	47
6 „	66	36	41

— აღნიშნული ციფრები გვიჩვენებენ, თ
შრომის კვალიფიკაციის ზრდასთან ერთად როგორ
კლებულობენ ინდექსები. მაშინ როდესაც შავ მუ
შების რეალური ხელფასი 1921 წელს ომამდე არ-
სებულ ნორმასთან შედარებით ინგლისში 21 პრო
ცენტით გაიზარდა საფრანგეთში—28 პროც. დ
გერმანიაში 30 პროც., სახელმწიფო მაღალ მოს
მსახურეთა შრომის ქირა ინგლისში 34 პროც. შე
ცირდა, საფრანგეთში 64 პროცენტით და გე
აში კი 39 პროცენტით. თუ კი 1913 წელს მაღა
ლი მოსამსახურის სამუშაო ხელფასი ნასწავლ დ
უსწავლელ მუშასთან შედარებით შემდეგ შეფარდე
ბაში გამოიხატებოდა: 685:163:100, 1921 წელ
ესევე შეფარდება შემდეგ სახეს იღებს: 227:110:1
ხოლო 1922 წელს კი—208:108:100.

ამის შემდეგ, თუ კი ომამდე არსებულ ნაც
ონალურ ინდექსებს, 1922 წლის ინდექსებს დაუპ
რისპირებთ, მივიღებთ სამუშაო ხელფასის საერთ
ნაციონალურ ინდექსების შემდეგ შედარებით სუ-
რათს (პროცენტული შედარებით ინგლისურ ნორ-
მისადმი):

	ომამდე	1922 წელ
ინგლისი—	100	100
შეერთ. შტატები	158	206
გერმანეთი	63	46
საფრანგეთი	56	57
ბელგია	54	50

ასე რომ, მდგომარეობა დაბალ ნორმიდან მა
ღალ ნორმისაკენ დალაგების მხრით სახელმწიფოთ
შორის თითქმის უცვლელი და იმავე სურათს წა
რმოადგენს, რაც ომამდე იყო, გამონაკლისს ამ მხ
მხოლოდ გერმანია წარმოადგენს, რომელმაც საშ
ალო ნორმის მაგივრად დაბალი ადგილი დაიკა
დაუთმო რა უპირატესობა საფრანგეთსა და ბელ
გიას.

ი.—ე.

ემბერს საგანგებო კომისის აგენტებმა დაპატიმრეს სოციალ დემოკრატიის პარტიის ლიდერთაგანი სეით დევდარიანი.

— **სასოფლო სამეურნეო ბანკის დაარსება.** უმაღ. ეკ. საბჭომ გადასწყვიტა სასოფლო-სამეურნეო ბანკის დასაარსებლად შეიმუშავოს საფონდო წესდება და დაარსოს ამისათვის კომისია.

— **დამზღვევ კასიის წევრთა ფოტოგრაფიულ სურათების გადაღება.** დამზღვევ კასა უკვე შეუთანხმდა ტფილისის ყველა ფოტოგრაფებს და დამზღვევ კასის წევრთა სურათების გადაღებათ წიგნაკებში ჩასაბეჭდათ სურათების გადაღება 3 პირთათვის ეღირება—15 კაპ. ჩერვონცით 5—პირთათვის 25 კ. ჩერვონცებით.

— **კოლექტიური ხელშეკრულების გაგრძელება.** დამზღვევმა კასამ დაწესებულებების შორის კოლექტიური ხელშეკრულება გააგრძელა 4 თვის ვადით.

— **ცეცხლისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა დასახმარებლად.** უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა. აღმოუჩინოს დახმარება ცეცხლისაგან დაზარალებული წილკანის მცხოვრებლებს და ამ მიზნის განსახორციელებლად არჩეული იქნა სპეციალური კომისია.

— **ამერიკული ტანისამოსი.** საქ. პროფკავშირების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა--კ. სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელის წინაშე რათა ამერიკულმა კომიტეტმა პროფკავშირების საბჭოს, კავშირების საჭიროებისათვის დაუთმოს ყოველ თვიურად 100 შეკვრა (ტიუკი) ამერიკული ტანისამოსი.

— **შრომის ბირჟის შენობის გაფართოება.** შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა: მიმართოს ქ. ალმასკომს, რათა შრომის ბირჟას დაუთმოს ბირჟის გვერდით არსებული დარაბა № 4175 ბირჟის საჭიროებისათვის.

— **შრომის ბირჟა.** 19 ნოემბერს, შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადა—13 უმუშევარი ახლად ჩაეწერა 26 უმუშ. გაიგზავნა სამუშაოზე 35 უმუშევარი.

= **ბოროტმოქმედის შეპყრობა.** 14 ნოემბერს შეპყრობილი აქმნა ბოროტმოქმედი გრიშა კაპანაძე, რომელიც ცდილობდა გაეტეხნა ბეს. ჰკუასელიძის ბინა.

— **ქურდის შეპყრობა** 13 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მოქ. ევდოკია ლიზიკოვა, რომელსაც ბრალდებოდა სხვა და სხვა ქურდობა.

— **დამზღვევ კასის რაიონული პუნქტები.** 20 ნოემბრიდან დაიწყო თავისი მოქმედება დამზღვევ კასის ავლაბრის რაიონულ დამზღვევმა პუნქტებმა. პუნქტი სამსახურს გაუწევს 5, 6, და 7 სამილიციო კომისარიატებს.

— **აგარაკების საქმეთა გასაუმჯობესებლად** საქ. პროფკავშირთა საბჭომ, თავის წარმომადგენლად, ბორჯომის სააგარაკო საქმების გადამთვალიერებელ კომისიაში დაინიშნა ამხ. კრავცოვი და ტერტეროვი.

— **სკოლის შენობის აგებაში დახმარების აღმოჩენა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ოზურგეთის მაზრაში თავის რწმუნებულს ამხ. სურგულაძეს მიწერილობა გაუგზავნა თემის მცხოვრებლებს, რომელთაც სკოლისათვის ახალი შენობის აგება აქვთ განზრახული შესაძლებლობის ფარგლებში ზემოაღნიშნული კეთილი მიზნის განხორციელებაში სათანადო დახმარება აღმოუჩინოს.

— **ინვალიდების არტელები.** სოციალურუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ინიციატივით ტფილისში მოწყობილია ინვალიდების 24 არტელი, ამათგან ამ ჟამად მოქმედობს და საქმიანობს 19—არტელი, ცხრამეტ არტელში შვიდი საწარმოვო არტელია, არტელებს ტფილისში აქვს კარგათ მოწყობილი საპნის ქარხანა. არტელებში გაერთიანებულია 86 კაცი შრომის და ომის ინვალიდები. განზრახული აქვს კომისარიატს ყველა ეს არტელები გარდაიქმნას კოოპერატიულ საფუძველზე.

— **ყრილობა.** 25 ნოემბერს ტფილისში გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკაში არსებული ყველა ინვალიდების არტელების წარმომადგენლების ყრილობა.

— **გაძლიერებული პენსიები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა გაძლიერებული პენსია დაუნიშნა ას ოცდა თვრამეტ (138) დამსახურებული რევოლიუციონერი საზოგადო მოღვაწეების ოჯახის წევრებს.

— **რაჰის წყლით მამოძრავებელ სადგურის ასაგებათ.** უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა: სთხოვოს საქ სახ. კომისართა საბჭოს, რომ მან აღძრას შუამდგომლობა ა. კ. ფინანსახკომისადმი, რომ დასახელებული სადგურის ასაგებად გადადებული თანხა გადაეცეს სადგურის ამგებ კომიტეტს.

— **მისალმება საქ. პასუხისმგებელ შრომის არტელისაგან** საქ. პასუხისმგებელ შრ. არტელის საზოგადო კრებიდან მიიღო მისასალმებელი დეპეშა.

— **ბოროტმოქმედების აღმოჩენა.** 12 ნოემბერს მოქ. ალექსანდრე შეპელევის ბინის გაქურდვის კვლევა-ძიებიდან გამოირკვა, რომ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობა მიუღია მეეზოვს მირონ აკოფოვს და 1-ლი უბნის უმცროს მილიციონერს გოგიშვილს, რომლებიც შეპყრობილნი იქნენ.

— **ჯიბგირის შეპყრობა.** 13 ნოემბერს გიორგი ალევარდიშვილს ჯიბიდან ამოაცალა 30 მილ. მანეთი მოქ. ლეონ ესიანცმა, რომელიც ადგილობრივ იქნა შეპყრობილი.

— **სანატორიუმი „არაზინდისათვის“.** დამზღვევ კასის მიერ ოქტომბრის განმავლობაში სანატორიუმის „არაზინდოს“ სასარგებლოდ გაღებულია 500 ჩერვონეცი.

— **ნორმით დაყოფილი მიწები.** ქ. ალმასკომის მიწად მოქ. განყოფილებამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში ტფილისის მაზრაში ნორმებად დაჰყო 7 387 დესეტინა მიწა.

მშრომელი ხალხის სამჯავროს წინაშე.

7 ოქტომბერი ისტორიული დღეა საქართველოს მუშათა მოძრაობაში და ამავე დროს მეტად მნიშვნელოვანი საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერ. პარტიის ცხოვრებაში.

ამ დღეს ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ გამოიტანა მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილება კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების შესახებ. ყრილობა დინჯათ მიუდგა ამ მეტად სერიოზულ და საჭირბოროტო საკითხ, და მისი ყოველმხრივ გაშუქების და განხილვის შემდეგ მიიღო ხსენებული გადაწყვეტილება ერთხმად და ერთსულოვნათ.

ყრილობამ საჭიროდ და აუცილებლად სცნო გაერთიანება, ვინაიდან არსებული ვითარება არ მოითხოვდა ცალკე, დამოუკიდებელ პარტიის არსებობის საჭიროებას ჩვენი პარტიის უმთავრეს და ძირითადი პრინციპების და იდეების რეალიზაციამ და აგრეთვე საერთაშორისო რევოლიუციის გაგებამ ლოღიკურად მიგვიყვანა ასეთ დასკვნამდე.

მოკლე ანალიზი რომ გავუკეთოთ ჩვენს პარტიულ ცხოვრებას და ამ მიზნით მცირე ექსკურსია მოვახდინოთ ამ ახლო წარსულში, დავინახავთ, თუ რა მძიმე და პირდაპირ აუტანელ პირობებში შეხვდა ჩვენს პარტიას სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა, რამაც თავისებური გამოძახილი ჰპოვა ჩვენი მშრომელი ხალხის გულიდან.

1921 წელში მომხდარმა მძიმე, მაგრამ აუცილებელმა აპერაციამ—პარტიის გენერალურმა განწმენდამ საღ და სწორ კალაპოტში ჩააყენა ჩვენი მუშაობის განვითარება.

ჩვენ მემარცხენე—სოც.-ფედერალისტებს მძიმე ატმოსფერაში შეგვიხდა პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენა; ყოველგვარი, საზღვარდაუდებელი ჭორები, ცილის წამება, ლანძღვა გინება, პრესტიჟის დაცემა და სხვა საშვალებანი—აი, ის იარაღები ბრძოლისა, რომელსაც მიმართავდენ ხოლმე მემარჯვენე პარტიები და განსაკუთრებით კი ჩვენი ყოფილი „ამხანაგები“.

მათ მთავარ მიზანს შეადგენდა ხალხის თვალში ჩვენი პრესტიჟის დაცემა, რომელსათვის ისინი ყოველგვარ საშვალებებს მიმართავდენ: პოლიტიკურ ეფექტით გამოწვეული მასსის გრძნობა აამოქმედეს და ეროვნულ მანტიაში გახვეულნი, სიტყვით, მის უღრესად დამცველად გამოდიოდენ.

მდგომარეობა შეიცვალა.

შეუძლებელია მასსის ხანგრძლივად ბურუსში გარკვევა; ცხოვრების შემდგომმა მსვლელობამ და განვითარებამ გაფანტა მის ირგვლივ გამეფებული გაუგებრობის ბნელი ქსელები. და მოვლენათა კრიტიკული შეფასების უნარი აღუძრა მას, რამაც თავის ლოღიკურ დასკვნამდე მიაღწია: ჩვენსკენ დაიწყო ლტოლვა ძველი, ჭეშმარიტი რევოლიუციონური სულით აღტვინებული და მუშურ-გლეხურ წიაღიდან გამოსული პარტიული მუშაობის მდგომარეობის სრული შეგნებით და გადადგმულ ნაბიჯების პასუხისმგებლობით ჩვენი ამხანაგები შეუდგენ საბჭოთა სისტემის სამსახურს და, როგორც პრესის საშვალებით, ისე სიტყვით და საქმით შექონდათ, ჩვენს მასაში შეგნება კომუნისტურ რევოლიუციის აუცილებლობისა.

ჩვენთან ადგილი არ ქონდა ისეთი შემთხვევით მოსულ ელემენტებს, როგორც ეს ძველად მთლიან პარტიის არსებობის დროს იყო: როგორც სოციალურ, ისე წოდებრივ მდგომარეობით ჩვენი ამხანაგები სავსებით გამომხატველი იყვენ იმ სულის და მისწრაფების, რომელიც ჩვენს პარტიას ახასიათებდა და რომელსაც ისინი ყოველთვის მტკიცედ ატარებდენ.

ამიტომ, ცხადია, მათზე ვერ იმოქმედებდა ჩვენს ირგვლივ შექმნილი მძიმე ატმოსფერა და მით უფრო არავითარ გავლენას არ მოახდენდა ის პროკლამაციები, რომელიც ჩვენმა „რევოლიუციონურმა“ მემარჯვენე ფედერალისტებმა ჩამოყარეს 7 ნოემბერს ყრილობის მსვლელობის დროს და, რომელშიდაც ეს ვაჟბატონები ათასგვარ უმზგავსო გინების, ინსინუაციების და ჭორების შემდეგ მოუწოდებდენ ჩვენს ამხანაგებს, რომ „ამოუდგეთ გვერდში მებრძოლებს და მათთან ერთად გაანთავისუფლონ სკვითების ტყვეობისაგან სამშობლო“. (sic).

რასაკვირველია, ეს ფაქტი არავითარ ყურადღებას არ იქცევს პოლიტიკურ თვალსაზრისით, ვინაიდან გინებით და მოქმედებით „ახალგაზრდათა კომიტეტი“ ვერ გამოიწვევს სხვაგვარ გამოძახილს თუ არა შებრალებას და მწარე ღიმილს, მაგრამ საინტერესოა ხსენებული მოვლენა ერთ თვალსაზრისით სახელდობრ ეს კიდევ ერთხელ ააშკარავებს მემარჯვენე ფედერალისტების „რევოლიუციონერობას“, „სოციალისტობას“ და მათ ინტელექტუალურ სიკოტრეს.

თუ მოვლენები თავის შედეგებით უნდა ფასდებოდეს, თუ პოლიტიკურ პარტიას თავის განსაზღვრული კურსის აღებით მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ ლტოლვა და მისწრაფება უნდა ახასიათებდეს, მაშინ ყოვლად უმიზნო და გაუგებრობაზე აღშენებულია მემარჯვენე ფედერალისტების არსებობა, რომლებიც სიტყვით ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახიან „ერის სამსახურზე“, მის წინმსვლელობაზე, ხოლო საქმით—თავის მოქმედებით აფერხებენ მის განვითარებას, ხელს უშლიან მშრომელ მასსას აღმშენებლობითი მუშაობის წარმოებაში.

სავსებით მართალი იყო ამხ. თედო, როდესაც მან თავის სიტყვაში პარტიულ ყრილობაზე აღნიშნა, რომ მთელი პასუხისმგებლობა და ისტორიის შეუბრალებელი მსჯავრი ჩვენი ხალხის მშრომელი მასსის წინაშე დაედება იმ პარტიებს, რომლებმაც თავიანთ მოქმედებით უმიზნო და უაზრო მსხვერპლი გაალებინეს ქართველ ხალხს.

ახლა მრავალი მემარჯვენე რწმუნდება იმ მოწოდების ჭეშმარიტებაში, რომელიც ჩვენ მიერ საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებიდან იქნა გადასროლილი.

ჩვენ კი აღებული გვაქვს გარკვეული გზა [illegible] საერთაშორისო რევოლიუციონური კომუნიზმისაკენ.

არავითარი საერთო რამ არც წარსულში, არც ეხლა და მით უფრო—მომავალშიც არ გვქონდა და გვექნება მემარჯვენე პარტიებთან და მათ კონტრრევოლიუციონურ მოღვაწეობასთან და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიბრძვით საერთაშორისო რევოლიუციისათვის, ვზრუნავთ მუშათა კლასის კეთილდღეობაზე და ვჭედავთ მის საბოლოო თავისუფლებას.

ყოველი რევოლიუციონური ჩვენთან იქნება, ნამდვილი სოციალისტი ჩვენს გზას გაყვება.

ვ. ჯაში.

პეტრე მირიანიშვილის იუბილეისათვის

უნდა მოვაგონოთ ქართველ საზოგადოებას, დამსახურებული პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის პეტრე მირიანიშვილის იუბილეის გამართვა.

დარწმუნებული იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება შესაფერისად აფასებს ქართველი ხალხის მოამაგეთ, არ შევვიძლიან სიჩუმით გავატაროთ და არ მიუთითოთ პეტრე მირიანიშვილზე, იმ ადამიანზე, რომელიც 40 წელიწადი დაუღალავად ემსახურება ქართველ ხალხს. ჩვენ სამი წლის განმავლობაში მოწამე გავხდით მრავალი იუბილეის გამართვისა, მაგალ. როგორიც იყო შალვა დადიანის, იაკობ ნიკოლაძის, დამსახურებული პედაგოგის აფრასიონ ჯაფარიძის და სხვა. ჩვენ გაკვირვებული ვართ, რატომ გამორჩათ მათ სიას პეტრე მირიანიშვილი. პეტრემ ბევრი რამ გააკეთა ქართველთა საკეთილდღეოდ, მან ბევრი რამ შემატა ქართველ ხალხს. ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს, როდესაც გიმნაზიის კედლებში შექმნილი ატმოსფერა მოწამვლით და გადაგვარებით ემუქრებოდა ახალგაზრდობას, როდესაც მშობლიური კულტურა ვიწრო რკალში იყო მომწყვდეული; აი ამ ხანებში პეტრე მირიანიშვილი თავისი ენერგიული მუშაობით ძირს უმაგრებდა ქართულ ენას და საერთოთ ქართულ კულტურას. მის ხელში მრავალი თაობა აღიზარდა, მისმა 36 წლის მასწავლებლობამ მრავალი ღირსეული შვილი მისცა ქართველ ხალხს.

გავცილდეთ გიმნაზიის ფარგლებს. პეტრემ თავისი წვლილი სამუსიკო დარგშიაც შეიტანა. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა და დიდი ღვაწლიც მიუძღვის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დაარსებაში. ჯერ კიდევ 1903 წ. მან პირველად სთარგმნა „დემონი“ ქართულს ენაზე, რომელიც პეტროგრადის სცენაზე დაიდგა. (ჩვენ რასაკვირველია ამ პატარა წერილში ვერ მოვათავსებთ მისი 40 წლის საქმიანობას, მხოლოდ აღვნიშნავთ ზოგიერთს ბიოგრაფიულ ცნობებს მკითხველი გაეცნობა სპეციალურად). მის კალამს ეკუთვნის მრავალი თარგმანი უცხოეთის ლიტერატურიდან მაგალ. „მიჯაჭული პრომეთე“ (ესქილისა), „ედიპე მეფე“ (სოფოკლესი), „მედია“ (ევრიპიდესი) და სხვა. მასვე ეკუთვნის „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო. და ბოლოს აღსანიშნავია ისიც, რომ პეტრე მირიანიშვილი სულ მუდამ მშრომელი ხალხის მოსარჩლეთ გამოდის, ასეთი შინაარსის წერილებს ხშირად შეხვდებით გაზეთის ფურცლებზე. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ქართველი საზოგადოება ამ ამბავს სიამოვნებით შეხვდება და სათანადო ორგანოც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს.

შალ. ჯალიაშვილი.

პროვინციაში

ტობანიერის თემ.

7 ნოემბრის დღესასწაული. ტობანიერს არ ახსოვს ჯერ ასეთი კარგი დღესასწაულის ბაზარი, აღმასკომი, ფ. ტ. განყოფილება. ეპო, სასწავლებლები, სახალხო სახლი და სხვა ისთე იყო მორთული რომ უკეთესი არ შეიძლება. ილაპარაკა 7 ნოემბრის დღესასწაულის შესახებ ამხ. შარმან დოლიძემ და სხვებმა. ამავე დღეს იყო ადგილობრივ სახალხო სახლში უფასო წარმოდგენა, წარმოადგინეს „რევოლიუციის მოლოდინში“.

საექიმო პუნქტი ორი კვირაა მას შემდეგ; რაც დაიქირავეს ახალი ექიმი ვლადიმერ გუბელაძე, რომელიც ყოველ მხრივ კარგი ადამიანია და კარგ სახელს იმსახურებს ხსენებულ თემში.

სასწავლებლის შენობა. სასწავლებლის შენობაზედ მუშაობა დროებით შეჩერებული იყო. ამ ჟამად განახლდა მუშაობა, რადგან კარგი ამიდები დაიწყო. 26 ოქტომბერს ადგილობრივ დრამატიულ წრემ სახალხო სახლში დადგა წარმოდგენა სასწავლებლის შენობის სასარგებლოდ, რომელმაც დატოვა 450,000,000 მანეთი წმიდა შემოსავალი.

ეპოს ახალი შენობა. მოკლე ხანებში დამთავრდება ეპოს ახალი შენობის აგება, რომელიც შესდგება 2 თვალისაგან. **ან. მუღუნელი.**

პატარა ფელეტონი

ცანცარ ივანიჩ თავფქვილაძე

ამხანაგებო! ყური მიგდეთ, მე სურვილი მაქვს გითხრათ ცოტა რამ ჩემს უბედურებაზედ, დიახ, სწორედ უბედურებაზე. ჩემთვის მაინც ეს უბედურებაა და თქვენი კი რა მოგახსენოთ!

უპირველესად მსურს გაგაცნოთ ჩემი ვინაობა. მე გახლავართ პოეტ-დრამატურგი, მსახიობი. მომღერალი, ჟურნალისტი, სპორტსმენი ავიატორი. დიაღ მე გახლავართ ცანცარ ივანიჩ თავფქვილაძე.

ამხანაგებო, მე უბედურება შემემთხვა, ამას მხოლოდ თქვენ გაგიზიარებთ და იმედი მაქვს, რომ თქვენ თანამიგრძნობთ.

საქმე შემდეგშია. მე, როგორც დრამატურგს, მქონდა ახალი დრამატიული ნაწარმოები და ვიღაც ჩემს მტერს მოუპარავს ჩემთვის ეს პიესები, გაუგზავნია საფრანგეთში და ეხლა თურმე პარიზის თეატრებში თამაშობენ, რომლის სანახავადაც აუარებელი ხალხი დაიარება თურმე! როგორ მოგწონთ ეს, ჰა!.. მე აქ შიმშილით სული მძვრება და იქ კი ჩემი გამქურდავები აუარებელს ფულებს იღებენ ჩემი ნაშრომით!.. მე ვაჩვენებ სეირს იმ არამზადებს, მაცალონ ერთი!.. იმათ გამოჯავრებული მე ხელათ დავსწერე ახალი პიესა, ოჰ, რომ იცოდეთ რა არის ეს ახალი პიესა... „ზღვის ჰანგები“!! ეს არაჩვეულებრივი დრამატიული ლეგენდაა და ფსიქოლოგიური ანალიზი იმ წერტილამდე მაქვს განვითარებული, რომ არც ერთს მწერალ-დრამატურგს აქამდე ვერ მოუხერხებია ამის მიხწევა. აი სად არის ფანტაზიის ძლიერი გაქანება! მოვლენათა ათვისება, დრამატიული ტეხილები და სხვა მრავალი! დიახ, ამხანაგებო, მე ვიწვი მშვენიერების კოცონზე მაგრამ ვინ არის ასეთი დიდი ნიჭის დამფასებელი, ვინ?!

მაგრამ განა მარტო ეს არის ჩემი ნიჭი და შნო! არა, თქვენც არ მომიკვდეთ. მე უკეთესს გეტყვით. მხოლოდ გთხოვთ—კი, რომ ეს ჩემი ნათქვამი არ გიამბილოთ.

ხომ იცით ხალხი ინტრიგანია და კიდევ არ ჰომპარონ ნაწარმოები! მაშ ყური მიგდეთ, მე ამ ჟამად ვსწერ ახალ ორგინალურს ოპერას, 15 მოქმედებათ, 28 სურათად, „მეტამორფოზა“-ს. აი ეს არის ჯერ არ ნახული და არ გაგონილი მუსიკა. წარმოიდგინეთ ჩემს ოპერაში ორი ათას კაცამდე იღებს მონაწილეობას, ორკესტრში იქნება ორასი დამკვრელი, ამასთანავე ჩემს ოპერაში ისეთი მელოდიებია, რომ ზოგიერთი ახალი საკრავის გამოგონებაა საჭირო. მონაწილეობას იღებენ ამასთანავე ავტომობილები, მოტოციკლეტები. ჰაეროპლანები, ველოსიპედები, ცხენოსნები, გრუზავიკები, ეტლები, და სხვა ათასი რამ, ერთი სიტყვით ძნელად მოასწრობთ ყველა ამის ნახვას. ეს იქნება რაღაც არაჩვეულებრივი, რომელიც თავისი მრავალფეროვანებით მნახველ მსმენელთ თავბრუს დაასხამს. აი სად არის სამყაროს ახალი ათვისება, ფანტაზიის აღმაფრენა, ახალი ხაზები და ტეხილები.

დიახ, მე ვახდენ მუსიკაში რევოლიუციას! ამიტომ მე ვუწოდე მას „მეტამორფოზა“. ეს ოპერა უნდა დაიდგას ღია ცის ქვეშ. ეს ოპერა კი არა ნამდვილი პარიზის გამოფენა იქნება!!. დიახ, იცით ამხანაგებო, ყველანი გაკვირვებულნი არიან ჩემის დიდი ნიჭიერებით თვით პროფესორებიც კი დაინტერესდნენ. მართლა კინაღამ დამავიწყდა! თქვენ იცით, რომ მე ამას წინეთ ექიმებმა თავში ოპერაცია გამიკეთეს, თავის კეფა გადამიხსნეს?! მაშ არ იცით ეს საკვირველიც არ არის ან კი საიდან გეცოდინებათ როდესაც ამას დიდის საიდუმლოებით ინახავენ! დიახ მე თავის ქალა გადამიხსნეს და იცით რა ნახეს თურმე შიგ?! საოცარი რამ! წარმოიდგინეთ, რომ კეფაში ტვინი სრულიად არ აღმოჩნდა... მთლიანად გამქრალიყო!

ექიმების განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა თურმე, როდესაც მათ ტვინის მაგიერ დაინახეს, რომ კეფის ძირზე მწვანე ქარქვეტა ბიბინებდა და შიგაც თურმე ჭრელ ჭრელი პეპლები დაფრინავდა! ექიმებს რამოდენიმე პეპელა ამოეყვანათ მა-

შით და თავის სარქველი ისევ დაეხურათ მაგრამ, მე გთხოვთ, რომ რაც მე გითხარით ეს ჯერჯერობით ჩვენში დარჩეს, ხომ იცით ქორიკონა ხალხის ამბავი. არ მინდა, რომ ეს ყველამ გაიგოს. მე ვაპირებ საფრანგეთში გამგზავრებას, რათა ჩემი საავტორო უფლება აღვადგინო. შესაძლებელია, რომ ჰაეროპლანითაც გადავფრინდე და მაშინ კი მე უჩვენებ სეირს ჩემს გამქურდავებს. მაშ ეს სამართალია' მე აქ მშიერი ვარ და ისინი იქ ქეიფობენ!?.

იცით კიდევ რას გეტყვით? მე შესანიშნავი ხმა აღმომაჩნდა—ბარიტონი! მაგრამ არ გავამხელ, ვიცი რომ მაშინათვე ოპერაში მიმიწვევენ და ვაი თუ ამან შეაფერხოს ჩემი ოპერის დასრულება!.. მაშ ასე, ამხანაგებო, მე საკმაოდ გაგაცანით ჩემი ვინაობა და იმედი მაქვს რომ შემდეგში გეცნობებით, მხოლოდ გთხოვთ, რომ გახსოვდეთ ჩემი ოპერა და დრამა, როდესაც მათ წარმოდგენა გამოცხადდება არ გამოსტოვოთ მისი ნახვა!.. თორემ ბევრს ინანებთ. ეხლა კი ნახვამდის რადგანაც ხაშზედა ვარ დაპატიჟებული და იქეთკენ მეჩქარება. ნახვამდის! გთხოვთ არ დაივიწყოთ თქვენი ცანცარ ივანიჩ თავფქვილაძე.

B.

ტფილისში მყოფ სულით-ავადმყოფთა მდგომარეობა

ეჭვს გარეშეა, რომ მსოფლიო და შემდეგ სამოქალაქო ომმა, თავისის სასტიკის შედეგებით: შიმშილი, სიძვირე, გაჭირვება,—ცხოვრების თავისი ღრმა კვალი დააჩნია, მოშალა, ნორმალურ ყოფის კალაპოტიდან ამოაგდო და ამის მიზეზებით ფართოდ გავრცელდა და განვითარდა მცხოვრებთა შორის საშინელი ავადმყოფობანი, როგორიც არის მაგალითად მძიმე ნერვიული ავადმყოფობანი და, რაც უფრო საშინელია, სულით ავადმყოფობა, რომელიც ამ ბოლო დროს ასე გავრცელდა ტფილისში მცხოვრებთა შორის და სავალალო სურათს იძლევა, ეს მოვლენა სერიოზულს ყურადღების მიქცევას ითხოვს, მაგალ. იშვიათია ტფილისში ოჯახი რომ აქ არ იყოს ავადმყოფი, ნევრასტენით, ეპილეპსიით, ისტერიკით და სულით შეხვდებით ავადმყოფთ, სხვა და სხვა ფორმის სახით, არამც თუ მოზრდილებში, არამედ თვით ყრმათა, და ბავშვთა შორისაც-კი. როგორც ექიმთა დაკვირვებისა და შემოწმებისაგან ირკვევა ქ. ტფილისში ამგვარის ავადმყოფობით შეპყრობილნი არიან უმთავრესად ღარიბი და ნაკლებად უზრუნველყოფილნი მცხოვრებნი უმუშევარნი, მშრომელნი და მათი ოჯახის წევრები, მაგალითად ხშირი ყოფილა ასეთი შემთხვევა რომ ქუჩაში დადის დაბარბაცებს მთვრალივით ქალი, ან კაცი, უპატრონოდ, დონე-მიხდილი, იგი წაუყვანიათ სამილიციო ნაწილში და როდესაც იქ ექიმი მიუწვევიათ შესამოწმებლად. ექიმს აღმოუჩენია რომ იგი სულით ავადმყოფია!.. და ძალიან ხშირია ქალაქში ასეთი მოვლენა.

ამასთანავე არის ქალაქში ოჯახები, რომელთა ოჯახის წევრი სულით-ავათმყოფია, მისგან მოსალოდნელია, რაიმე ხიფათი, პატრონები მეტად შეწუხებულნი არიან ამის გამო, მაგრამ მათ არ იციან, რა ღონისძიებას მიმართონ და როგორ მოუარონ ავადმყოფს. სად მოათავსონ, საქმე იმაში გახლავთ, რომ ქ. ტფილისში არ არის სპეციალური **ფსიქიატრიული საავადმყოფო** სულით ავადმყოფთათვის, რომლის საჭიროებაც აუცილებელია. მართალია ტფილისში არსებობს ცენტრალურ საავადმყოფოსთან ფსიქიატრიული განყოფილებაც მაგრამ ეს საავადმყოფო სივიწროვის გამო ყველა ავადმყოფთ ვერ იტევს, და ამიტომ ხშირად ავადმყოფს ვერ იღებენ, იგი გარედა რჩება. და ზოგნი—კი ქუჩაში დაწანწალებენ უპატრონოდ. ამას გარდა მხედველობაში მისაღებია ის გარემოება რომ ამ საავადმყოფოსთან მოწყობილია ფსიქიატრიული კლინიკაც, რომელიც უმთავრესად პედაგოგიურ მიზანს ისახავს, და კათედრის გამგე მოყვანილ ავადმყოფთაგან არჩევს მხოლოდ რომელიმე ტიპიური ფორმის სულით ავადმყოფს სადემონსტრაციოდ სტუდენტებთან ლექციის კითხვის დროს, ამიტომ ცხადია რომ აქ ყველა ავადმყოფთ ვერ მიიღებენ. თუნდაც რომ თავისუფალი ადგილი მოიპოვებოდეს, ამიტომ ერთად-ერთი პირობა ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად ის არის რომ, აუცილებლად გაფართოვდეს საწოლების რიცხვი არსებულს საავადმყოფოში, განსაკუთრებით ტფილისის მცხოვრებელ სულით-ავადმყოფთათვის და შემდეგ—კი გაიხსნას ქალაქში სპეციალური ფსიქიატრიული საავადმყოფო რაც ასე საჭირო და აუცილებელია რომელიც შეუმსუბუქებს ტანჯვას ავადმყოფთ, რომელნიც მოთავსებულნი იქნებიან აქ სამკურნალოდ. იმედია რომ ამ გარემოებას განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევენ ვისგანაც ჯერ არს.

მკურნალი.

ხრონიკა

სახელმწიფო ოპერა „ქეთო და კოტე".

ტფილისის სახელმწიფო თეატრში განახლებულ ვიქტორ დოლიძის ოპერას „ქეთო და კოტე"-ს, როგორც მუსიკალურ ნაწარმოებს, მსოფლიო მუსიკის ისტორიაში რასაკვირველია, მნიშვნელობა არა აქვს. ეს ნაწარმოები მსოფლიო მუსიკის თვალსაზრისით უმნიშვნელოა, მაგრამ მას მნიშვნელობა აქვს ქართული მუსიქის ისტორიაში, რადგანაც დოლიძეს ოპერა პირველი ნიმუშია კომიკური ოპერებისა ქართულ საოპერო ლიტერატურაში. ამ ნაწარმოებში, არამც თუ ადგილობრივი, საერთოდ აღმოსავლეთის კოლორიტი და სტილიც კი არის დაცული. ეს უბრალოდ მხიარული მუსიკალური მოზაიკა არის თავიდან ბოლომდე. მაგრამ არის რა იგი კომიკური ოპერის ნიმუში, კომიკურის შინაარსით (ოპერის შინაარსი მთლიანად აღებულია აკ. ცაგარლის მშვენიერი კომედია „ხანუმა"-დან) ამ ნაწარმოებს, რომელსაც დართული აქვს საკმარისი მხიარული მელოდიები, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი ვერ განაცხადებენ პრეტენზიას მუსიკალური ფორმის დამთავრებულობაზედ, მაინც სიამოვნებით და ადვილად ისმენს ადამიანი. თეატრში გამეფებულია სიმხიარულე, რასაც ბევრად ხელს უწყობს აგრეთვე კარგი დადგმა.

აი ამ ნაწარმოების დადგმას ადმინისტრაცია და თეატრთან არსებული სახელოვნო კომისიაც მეტად კეთილსინდისიერად მოექცა და სრულიად დაიცვა წვრილმანებშიაც კი სტილიცა და ხანაც.

ქეთოს პარტიას მუსიკალურად მღერის მსახიობი ქალი კალანდაძე. მისი ხმა არ არის ფართე დიაპაზონისა, მაგრამ იგი წკრიალა და კარგად დამუშავებულია, ამასთანავე ბუნებით მინიჭებული მუსიკალობა მსახიობს საშუალებას აძლევს მოგვცეს კარგი ვოკალური შესრულება პაარტიისა. სცენიურის მხრივაც კარგი განსახიერება მოგვცა კალანდაძის ქალმა წარსული საუკუნის მეორე ნახევრის ტფილისის საზოგადოების გულუბრყვილო ქალისა. კარგი ჰქონდა აგრეთვე გრიმი და მიმიკაც.

როგორც მუდამ, მსახიობმა ისეცკიმ დამთავრებული სახე მოგვცა იმ დროინდელი ჩარჩი-ვაჭრისა. მეტად დამახასიათებელი ჰქონდა მას გრიმი და მიხვრა-მოხვრა. სცენაზე ჩვენ ველარ ვხედავთ ისეცკის, ის არის ძველი ტფილისის მოქალაქე ვაჭარი მაკარი, რომელიც ოცნებობს დაუნათესავდეს თავადს და თავისი ქალიც კნეინა გახადოს.

დამახასიათებლები იყვნენ ორივე მაჭანკლები, ბარბალე—ხლებოვსკის ქალი და ბაბუსი—თუმანოვი—მახარაძე. მაინც ხლებოვსკის ქალს ბევრად უკეთესად აქვს დამუშავებული ბარბალეს როლი. გრიმი და ტანისამოსი მას კომიკური და დეტალურად შეკეთებული აქვს. თუმანოვი—მახარაძე უფრო სუსტია და ნაკლებად დამახასიათებელი ძველი ტფილისის მაჭანკლის ტიპისა.

თავად კოტეს ეპიზოდიურ როლს ასრულებდა მსახიობი კავსაძე, იგი სასიამოვნოდ მღერის თავის პატარა პარტიას, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი აქაც მიჰმართავს თავის საყვარელ ჩვეულებას—არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს მოქმედებაში (laisser faire laisser passer) ეს კი ვნებს ensedle—ს.

კომიკურები არიან და შარჟად არ აქცევენ მსახიობები ქურხული და კურბატოვი მოქალაქეების საქოსა და სიკოს როლს.

მასსიური სცენები კარგად არის დადგმული.

კარგია აგრეთვე ცეკვაც, მხოლოდ სერგეევი აჭარბებს ცოტათი და შარჟად აქცევს მოხელის როლს.

პ. ბებუთიშვილი.

„ქეთო და კოტე" რუსულად. ისკანდერმა სთარგმნა ვ. დოლიძეს კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე" რუსულად, რომელსაც მიმდინარე სეზონში წარმოადგენენ მოსკოვში ზიმინის თეატრში.

ლადო მესხიშვილის ძეგლი. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს მიენდო ლადო მესხიშვილის ბრინჯაოს ძეგლის ჩამოსხმა.

მხატვარ გიგო გაბაშვილის სურათების გამოფენა. მხატვართა კავშირის საბჭოს განზრახვა აქვს მოაწყოს ცნობილი მხატვრის გიგო გაბაშვილის სურათების გამოფენა. გამოფენილი იქნება მხატვრის 200-მდე სურათი.

სამხატვრო აკადემია. აკადემიაში დამატებითი გამოცდები დამთავრდა.—გამოცდებს იჭერდა 14 კაცი, მიღებულ იქმნა მხოლოდ 9.

სახალხო სახლის 30 წლის იუბილე. საბოლოვოდ გადაწყვეტილია, რომ სახალხო წარმოდგენების დაარსებიდან 30 წლის იუბილე გადახდილ იქმნეს 2 დეკემბერს სახალხო სახლში. არჩეულია საიუბილეო მომქმედი პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან ყურულაშვილი პროფკავშირებიდან, კანდელაკი განათლების კომისარიატიდან და ს. ახვლედიანი სახალხო სახლის დრამის გამგეობიდან.

კომისიის მოხსენების თანახმად შემუშავებულია საიუბილეო სალამოს პროგრამა. წარმოდგენილი იქნება „მსხვერპლი" 1-ლი მოქმ. ი. გედევანიშვილის. შემდეგ დადგმული იქნება სცენები 21-თ. პიესიდან, რომელი პიესებიც ახასიათებს სახალხო სახლის რეპერტუარს. დადგმებს ხელმძღვანელობს კ. მარჯანიშვილი.

საიუბილეო კრებული. ამ დღით გამოვა საგანგებო საიუბილეო კრებული და აგრეთვე გაზეთი „სახალხო თეატრი".

წინასწარი ხარჯები. იუბილეის მოსაწყობად წინასწარ ხარჯებისათვის 30 ჩერვონეცი გაიღო სახალხო განათლების კომისარიატმა, ამასთანავე ყველა ხარჯები იკისრა პროფკავშირთა საბჭომ, განათლების კომისარიატმა და სახალხო სახლის დრამის გამგეობამ.

მუშათა კონსერვატორია. ნაძალადევში მოკლე ხანში იხსნება სახელმწიფო კონსერვატორიის განყოფილება მუშათა ბავშვთათვის.

მელითონეთა კლუბის გახსნა 14 ნოემბერს გაიხსნა მელითონეთა კლუბი ამხანაგ ბაგრატ მაჩაიძის სახელობაზედ. კლუბის გახსნას სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა. ამ სალამოთი გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივი ძალებით.

საბავშვო თეატრი. საბავშვო თეატრის ქართული დრამატიული დასის წარმოდგენები დაიწყება 25 ნოემბრიდან „პატარა თეატრში". ამ სალამოთი წარმოადგენენ ბავშვთათვის დ. ნახუცრიშვილის ახალ პიესას „ნაცარ-ქექიას".

სასამართლო ფუტურიზმზედ. ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, „ჰაიარტუნ"-ის თეატრში შესდგა ფუტურიზმის ლიტერატურული გასამართლება. დამნაშავის ადგილზედ იჯდა სომეხი ფუტურისტ პოეტი ყარა-დავრიში. პოეტს ბრალსა სდებდა არშავირ მულ იქიონი. მოსამართლედ იყვნენ მუშები: [illegible] მკირტუმიანი, გულაზიანი, მაკაროიანი. თავმჯდომარეობდა ს. ერზიკიანი. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც იცნო „ფუტურიზმი" ბურჟუაზიულ კულტურის გამოძახილათ და ამიტომ სომეხ ფუტურისტ პოეტის ყარა დავრიშის ნაწარმოებნი სრულიად გამოუსადეგად და მიუხწევლად მშრომელთა ფართო მასისათვის.

პლეხანოვის თეატრი. პლეხანოვის თეატრის მუშა-მოსამსახურეების მიერ შემდგარი დასი ამზადებს დასადგმელად ლუნაჩარსკის პიესას „მეფის დალაქი".

სახელმწიფო ოპერა. დღეს 21 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება „ტრავიატა" ოპერა 4 მოქ. მუსიკა ვერდიორა. მონაწილეობს მომღერალი ქალი პაპოვა. ხუთშაბათს წარმოდგენილი იქნება ოპერა „ტოსკა" მუსიკა პუჩინისა.

სომხური დრამა. დღეს 21 ნოემბერს რუსთაველის თეატრში სომხური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება ნაპერი მიწისათვის. დრამა 4 მოქ.

რუსული დრამა. დღეს 21 ნოემბერს სახალხო სახლში რუსული აკადემიური დასის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში „დაძირული ზარი" დრამა—ზღაპარი 5 მოქ. ლექსად ჰ. ჰაუპტმანისა. თარგმანი ვ. ვეინერისა დადგმა ფ. რადოლინისა.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში დამიბეჭდოთ შემდეგი: გასულ შაბათს ხელოვანთა სასახლეში ლიტერატურულ შაბათობის დროს მომხსენებელ ალ. ქუთათელაძეს მივაყენე პირადი შეურაცხყოფა, უნდა აღვნიშნო, რომ მეგობარ ქუთათელაძეს მიმართ მე არავითარი ინტერესით არ ვიყავი აღჭურვილი. ეს მიეწერება ღვინოს იმ სალამოზე მივედი შემთხვევით მთვრალი. ვგრძნობ ამ სამწუხარო ინციდენტს და მეგობარ ქუთათელაძის წინაშე ბოდიშს ვიხდი.

პატივ. შ. ჯანბერიძე.

მოქ რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი განცხადება. № 9 საბავშო სახლის გამგის ქნ ქავთარაძის და მისი „ბანაკის" თანამსახურის ექიმ წივწივაძის ოინების შესახებ.

როგორც მოეხსენებათ „ტრიბუნის" მკითხველებს, ამ გაზეთში და „მუშის" რამოდენიმე ნომერში მოთავსებული იყო—წერილები № 9 საბავშო სახლის გამგის „მოღვაწეობის" შესახებ, „გამვლელის" მიერ.

ამ წერილებმა გამოიწვია რევიზია, რომელმაც საგრძნობი დეფექტები შეასწორებინა გამგე ქავთარაძეს და მისცა შვება მის მიერ აბუჩად აგდებულ მოსამსახურეებს.

სარევიზიო კომისიის საბოლოო აზრი ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ, მიუხედავათ იმისა რომ, მთელი რიგი დაინტერესებული მოსამსახურეებისა არ იყო დაკითხული, მათ შორის სამნეო ნაწილის გამგე და მასწავლებელ-ხელმძღვანელთაგანნი, გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ იგი ქავთარაძის სასარგებლოდ ცოტა რამეს იტყვის.

ამასთან ქ ნი ქავთარაძე სასამართლოთი ემუქრებოდა „გამვლელს" და თავს უცოდველ წმინდად ისახავდა. წერილების გამოქვეყნების შემდეგ თვეზე მეტია და ქავთარაძის მიერ დამუქრებული სასამართლო არსად სჩანს. ალბად აღარც ამას ნახულობს ხელსაყრელად ქავთარაძე.

მაგრამ ქავთარაძემ ექ. წივწივაძესთან ერთად სხვა გამოსავალი გამონახეს: მათ გადასწყვიტეს რომ „გამვლელი" არის № 9 საბავშო სახლის ფერშალი ქალი დარახველიძე და დაუწყეს მას დევნა ყოველნაირი ყალბი ინსინუაციებით. ქავთარაძე—წივწივაძეს სურთ ეს უდანაშაულო პიროვნება სამსახურიდან გააძეონ ფერშალი ქალი ექვემდებარება ექიმსს. ექიმი წივწივაძე დიდი მეგობარი და „კონალია" ქავთარაძის, ეს კავშირი ყველამ იცის, ვინც საყოველთაოდ იცნობს საბავშო სახლებს.

ამიტომაც, რასაკვირველია, ფერშალი ექიმთან და გამგესთან ყოველთვის დამნაშავეა.

ექიმი წივწივაძე ფართოდ სარგებლობს თავის მდგომარეობით და სურს დაარწმუნოს ვინც ჯერარს, რომ ფერშალი ქალი დარახველიძე ერთი წლის სამსახურის შემდეგ აღარ შეესაბამება სამსახურის ადგილს № 9 სახლში, თუმცა ამ ხნის განმავლობაში მას დარახველიძეზე ქების მეტი არა უთქვამსრა.

გამგე ქავთარაძე კი იწვევს სპეციალურად ამისთვის პედაგოგიურ საბჭოს (რადგან მას სიტყვიერი თუ წერილობითი საჩივრით არა გაუვიდარა). თავისებურ შემადგენლობისას და თავისივე თავმჯდომარეობით, აყენებს საკითხს ფერშალი ქალის დარახველიძის სამსახურში დარჩენის შესახებ № 9 სახლში.

ამას აწყობს იგი იმ დროს, როდესაც ფერშალი დარახველიძე შვებულებაშია.

ამითაც გამგე ცდილობს შეკდომაში შეიყვანოს ვინც ჯერ არს და მის მაგიერ ათვალწუნებული ფერშალი შვებულებიდან სამსახურში აღარ დააბრუნოს.

მივაპყრობ სახალხო განათლების და საექიმო სასანიტარო კავშირის ყურადღებას ამ გარემოებაზე. მათ მართებთ დაშალონ ეგ შეხმატკბილებული სიმბიოზი წივწივაძე—ქავთარაძისა. ამას მოითხოვს ბავშთა ინტერესი.

რედაქციას კი დაბეჯითებით ვსთხოვ დაადასტუროს, რომ „გამვლელი", № 9. საბავშო სახლის ფერშალი ქალი დარახველიძე არ არის.

გამვლელი.

რედაქციისაგან. ვადასტურებთ, როვ კორესპონდენტი „გამვლელი" არ არის მოქ. დარახველიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 15.

საქართველოს სოც.-საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. ნოემბრის 14-ს დადგენილების თანახმად:

1. ამხ. კიკალეიშვილი პოლიევკტ განთავისუფლებულია საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან;

2. საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილეთ ინიშნება ამხ. ვაცაძე გიორგი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

ალ. ხალარიძე.

1923 წ. ნოემბრის 20.
ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 14.

საქართველოს სოც.-საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს შავიქვის მრეწველობის საქმეთა სამმართველოს უფროსის ამხ. კარპე მოდებაძის მოსკოვში მივლინების გამო ამავე სამმართველოს უფროსის დროებითი მოადგილეთ ინიშნება ამხ. ავაქოვი ვართანი ა. წ. ნოემბრის 17-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

ალ. ხალარიძე.

1923 წ. ნოემბრის 19.
ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ ნართველობის მიერ № 835 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, [illegible] № 4